



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

01 თებერვალი 2024



N 21/842

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2
niko.karsimashvili@gse.com.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი N10830 განცხადება, რომელიც ეხება თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვის“ რეკონსტრუქცია/გაორჯაჭვიანებისა და ექსპლუატაციის პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზმ-ს ანგარიშის 13.1 დანართში წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური რუკა არ შეესაბამება სტანდარტებს, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, სადაც დატანილი იქნება კოორდინატთა ბადე და ეგზ-ს საპროექტო მონაკვეთი;
- წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი აღწერილობა/ინფორმაცია საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე თითოეული გეოდინამიკური პროცესის ნუმერაციის, ხოლო ტექსტურ ნაწილში - მეწყრის პარამეტრების (სიგრძე, სიგანე, ფართობი, სავარაუდო სიმძლავრე, აქტიურობის ხარისხი და სხვ.) შესახებ, გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების და შესაბამისი კოორდინატების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშზე თანდართულ 2022 წლის საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით, ანძების სავარაუდო განთავსების ადგილებში გაყვანილია დამატებით 15 ჭაბურღილი, საიდანაც № 3, 4, 7, 8, 10, 13 ჭაბურღილები საპროექტო ეგზ-ს დერეფნიდან საკმაოდ დიდი მანძილითაა (დაახლ. 400 მ) დაშორებული. დაზუსტებას/დასაბუთებას საჭიროებს აღნიშნული ჭაბურღილების მონაცემების გამოყენება რამდენად შესაძლებელია საპროექტო ეგზ-ს დერეფნისთვის;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გეოლოგიური გარემოს ნაწილში, ტრასის პიკეტური აღწერის ქვეთავში (თავი 5.3.6. გვ. 76-78) შეჯამების სახით მითითებულია - „საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ელექტროგადამცემი ხაზის ზოლის უმეტესი ნაწილი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ისეთი არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, როგორცაა მეწყერი, შვავი, კარსტი, მდინარეული ეროზიები და ზვავები აქ არ არის გავრცელებული (ტრასის ზოლი შეირჩა მეწყრული და მეწყერსაშიში უბნების გვერდის ავლით)“. აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება ამავე ქვეთავში მოცემულ ინფორმაციას საპროექტო ანძების

მიმდებარედ არსებულ მეწყერსაშიშ სიტუაციასთან (ანძები N2/3, N21/23, N28/30, N32/34, N 33/35, N118/120, N125/127) დაკავშირებით. ამასთან გზშ-ის ანგარიშის 5.3.6 ქვეთავში, ტრასის პიკეტურ აღწერაში, აღნიშნულია რომ ტრასა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის კატეგორია), თუმცა დანართის სახით წარმოდგენილ შპს „გეოსერვისის“ მიერ შესრულებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტში, ტრასა მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი სირთულის კატეგორია). ასევე აღნიშნული დოკუმენტის (შპს „გეოსერვისი“) მიხედვით ეგხ-ს ტრასა ხასიათდება დამაკმაყოფილებელი საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით, თუმცა გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური (“NMG”, შპს “ზიზნეს ჯგუფი“) კვლევების თანახმად – „საპროექტო წერტილების შერჩევისას სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული საშიში გეოდინამიკური საფრთხეები“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გეოსაფრთხეების შეფასებისთვის, აუცილებელია შემდეგი კომპონენტების დადგენა: **ტერიტორიის სენსიტიურობა (მოწყვლადობა) სხვადასხვა გეოლოგიური პროცესის მიმართ, პროცესების განმეორებადობის სიხშირე, რაოდენობრივი მახასიათებლები, ისტორია და პროგნოზი.** შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

- სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ ცნობით „220 კვ ძაბვის ეგხ „არაგვის“ რეკონსტრუქცია/გაორჯაჭვიანების მშენებლობის საპროექტო ტერიტორია კვეთს მუხრანის მტკნარი წყლის საბადოს და მასზე გაცემულ #14 ლიცენზიას (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“) და მისი სანიტარიული დაცვის პირველ (მკაცრი რეჟიმის) ზონას. ასევე, საპროექტო ტერიტორია კვეთს, ქვიშა-ხრეშის მოპოვების #827 (შპს „ენკო“) ლიცენზიას. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, საპროექტო არეალი მოიცავს, ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით, #107120, #107852 განაცხადებს, რომლებზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება შემდგომში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით. გზშ-ის ანგარიშს არ ახლავს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით წარმოდგენილი shp ფაილების იდენტიფიცირების შედეგადაც დადგინდა რომ, მცხეთის მუნიციპალიტეტში 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტის მონაკვეთი მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის საზღვრებში. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების - „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე მე-60 მუხლის შესაბამისად საქმიანობა საჭიროებს ტერიტორიისათვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭებას, რისთვისაც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარსადგენია ამავე დადგენილების 61-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია.
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის მონაკვეთი (X468159.275; Y-4639990.036 კოორდინატებიდან X-468778.45; Y-4640010.24 კოორდინატამდე) პარალელურად მიუყვება შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხულ კოლექტორ მილხინას, რომლის გასხვისების ზოლი „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო

ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003.წ. N19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს კოლექტორის კიდედან 6-6 მეტრს, ორივე მხარეს. შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს გასხვისების ზოლის დაცვა. ასევე, დაცული უნდა იქნეს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. ამასთან აღნიშნული პირობები დაცული უნდა იქნეს არსებული ტრასის შემთხვევაშიც. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

